<u>პროექტი</u>

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. მოსამართლის შვებულების, სამსახურებრივი მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის პერიოდში, ამ მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებით განსაზღვრული საქმეები გადაეცემა ამ წესის მე-4 მუხლის შესაბამისად შერჩეულ მოსამართლეს, ხოლო სამსახურებრივი უფლებამოსილების განახლების შემდეგ ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“-,,ი“ ქვეპუნქტებითა და მე-3-მე-4 პუნქტებით განსაზღვრული საქმეები უბრუნდება თავდაპირველ მოსამართლეს.“;

ბ) მე-4 მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. მოსამართლის მიერ არანაკლებ 7 დღით შვებულებით ან სამსახურებრივი მივლინებით სარგებლობისას, ასევე, წინასწარ ცნობილი დროებითი შრომისუუნარობის გამო მოსამართლისთვის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში, მასზე არ ნაწილდება საქმეები (გარდა მორიგეობის დროს შემოსული საქმეებისა) სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერებამდე 1 სამუშაო დღით ადრე - რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში, 3 სამუშაო დღით ადრე - სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში.“;

გ) მე-4 მუხლის მე-16 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„16. მოსამართლის მიერ ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების გამოყენებისას, ასევე მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის, სხვა სასამართლოში გადასვლის ან მივლინების შემთხვევაში ავტომატურად, ხოლო იმავე სასამართლოს სხვა კოლეგიაში/პალატაში/სპეციალიზაციაში მოსამართლის გადასვლისას, მოსამართლის მიერ მოხსენებითი ბარათით მიმართვის შემთხვევაში, მის წარმოებაში არსებული საქმეები, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით ნაწილდება სხვა მოსამართლეებზე ამ მუხლის შესაბამისად. უფლებამოსილების შეწყვეტიდან ან სხვა სასამართლოში/კოლეგიაში/პალატაში/სპეციალიზაციაში უფლებამოსილების შესრულების დაწყებიდან არაუმეტეს 3 თვის ვადაში ყოფილი მოსამართლის იმავე თანამდებობაზე გამწესების, ხოლო მოქმედი მოსამართლის იმავე

სასამართლოში/კოლეგიაში/პალატაში/ სპეციალიზაციაში გადასვლის შემთხვევაში ამ პუნქტით განაწილებული საქმეები მოსამართლის მიერ მოხსენებითი ბარათით მიმართვის შემთხვევაში დაუბრუნდება თავდაპირველ მოსამართლეს.“;

დ) მე-5 მუხლის მე-12 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი